თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ქ. თელავი 2020 წლის 17 ივნისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიგა მამუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, მიხეილ გრემელაშვილი, ლევან ლილუაშვილი, ბაადურ რევაზიშვილი, ირაკლი სულხანიშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ.

მომხს: ლ.კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ლევან კოჭლოშვილმა** კომისიას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ინიციატივა.

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, პროექტი ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებას.

გიგა ორკოდაშვილის ინიციატივაა, რომ ფინანსურად წავახალისოთ ის სპორტსმენები, რომლებიც რეგისტრირებულები არიან თელავის მუნიციპალიტეტში და სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოიპოვებენ პირველ, მეორე და მესამე ადგილებს ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში.

ინიციატივის მიხედვით წახალისდებიან ასევე ის სპორტსმენები, რომლებიც თელავის მუნიციპალიტეტის სახელით იასპარეზებენ საქართველოს ჩემპიონატში და მაღალ შედეგებს მიაღწევენ.

ინიციატივის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში სპორტული მიმართულების კიდევ უფრო პოპულარიზაცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა

ბაადურ რევაზიშვილმა აღნიშნა, რომ წახალისება მისასალმებელია ასევე მგზავრობის ან ნებისმიერი ხარჯის თანადაფინანსებაზე ვინაიდან ეს უზრუნველყოფს სპორტით ახალგაზრდების დაკავებას, და თუ ისინი მიაღწევენ ასეთ დიდ წარმატებას ეს თანხები მიზერულიც კია.

გიგა მამუკელაშვილმა აღნიშნა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გავითვალისწინოთ ინიციატივა განვსაზღვროთ პროგრამის სახით და მივაწოდოთ მერიის შესაბამის სამსახურს.

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ინიციატივას.

გადაწყვიტეს: საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით კანონიდან გამომდინარე დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: ლევან კოჭლოშვილი.